ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5764557

ნომერი: AR1872570

თარიღი : 13.01.2022

გაცემის თარიღი : 17.01.2022

გაცნობის თარიღი : 04.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N7ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაია , N7 ბ-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარ ჯობაძე პ/ნ 01030028485
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კვ.1, კორპ. 6, ბ.23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 13

იანვარს №AR1872570 განცხადებით მომართა ბექარ ჯობაძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებით სამსახური დაეთანხმა ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №7ბ, ქ.თბილისში, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაია, №7 ბ-ს მიმდებარედ შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, განმცხადებელს სურს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მიეთითოს ღობის სიმაღლე.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2021 წლის 17 დეკემბრის №AR1868309 განცხადების მოთხოვნის ტექსტში მითითებულია ღობის სიმაღლე 5.24 მეტრი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, წერილობითი დასტური გაიცა შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 5.24 მეტრი ღობის მშენებლობასთან დაკავშირებით და განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებაში ღობის სიმაღლის დაფიქსირებას, შესაძლებელია საპროექტო ღობის სიმაღლე დაფიქსირდეს სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებაში.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით №01.14.05.006.143 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს მაგთიკომი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204876606). მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით ანდრია ზოდელავა წარმოადგენს შპს მაგთიკომის გენერალური დირექტორის მოადგილეს. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია ანდრია ზოდელავას მიერ განმცხადებლის - ბექარ ჯობაძის სახელზე გაცემული 2021 წლის 14 დეკემბრის მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (პირველი, მე-2, მე-3, მე-4 აბზაცები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №7ბ, ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №7ბ-ს მიმდებარედ, შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს აუქციონის (ლოტი 1, აუქციონი 608. აუქციონის ლინკი http://iauction.ge/Pages/Auctions/Lot.aspx?id=26680&page=0) პირობები და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №7ბ, ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №7 ბ-ს მიმდებარედ, შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 5.24 მეტრი სიმაღლის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 20 დეკემბრის №5734900 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.